



SEPHIA♦HOTEL  
TBILISI

Pikris Gora, LTD  
Shalva Ghambashidze, 5  
0179, Tbilisi  
Georgia  
Tax ID: 404431995

**2023 წლის**  
**ინდივიდუალური**  
**ფინანსური ანგარიშგება**  
**შპს ფიქრის გორა (ს/კ 404431995)**

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
საქმიანობის შედეგები

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები


1. ზოგადი ინფორმაცია
2. მომზადების საფუძველი
3. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები
4. სავაჭრო მოთხოვნები
5. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი
6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები
7. ძირითადი საშუალებები
8. სავაჭრო ვალდებულებები
9. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები
10. გადასახადები
11. ფინანსური ვალდებულებები
12. კაპიტალი
13. ამონაგების აღიარება
14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი
15. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან
16. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

**ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა**

|                                                                                             | <b>31/12/2023</b> | <b>31/12/2022</b> |
|---------------------------------------------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                                                       | 13139             | 79686             |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                                                  | 5149              | 19050             |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები                                 | 265173            | 228260            |
| მარაგები                                                                                    | 175170            | 91878             |
| მზა პროდუქცია                                                                               | 0                 | 0                 |
| სხვა                                                                                        | 175170            | 91878             |
| საინვესტიციო ქონება                                                                         | 0                 | 0                 |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                                                                  | 556               | 25404             |
| ბიოლოგიური აქტივები                                                                         | 0                 | 0                 |
| თვითღირებულების მოდელით                                                                     | 0                 | 0                 |
| გადაფასების მოდელით                                                                         | 0                 | 0                 |
| გუდვილი                                                                                     | 0                 | 0                 |
| სხვა არამატერიალური აქტივები                                                                | 2545              | 2967              |
| ძირითადი საშუალებები                                                                        | 158473            | 128643            |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში                                                           | 0                 | 0                 |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში                                         | 0                 | 0                 |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                                                                  | 4202431           | 3783474           |
| სულ აქტივები                                                                                | 4822636           | 4359362           |
| <b>ვალდებულებები</b>                                                                        |                   |                   |
| საიჯარო ვალდებულება                                                                         | 0                 | 0                 |
| სავაჭრო ვალდებულებები                                                                       | 25781             | 31471             |
| ანარიცხები                                                                                  | 0                 | 0                 |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                                                          | 0                 | 0                 |
| საგადასახადო ვალდებულებები                                                                  | 49266             | 0                 |
| გამომუშავებული შემოსავალი                                                                   | 0                 | 0                 |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები                                                             | 0                 | 0                 |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები                                                             | 0                 | 0                 |
| მიღებული გრანტები                                                                           | 0                 | 0                 |
| სხვა ვალდებულებები                                                                          | 1780              | 0                 |
| სულ ვალდებულებები                                                                           | 76827             | 31471             |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                                                                    |                   |                   |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') | 5562105           | 4802337           |
| საემისიო შემოსავალი                                                                         | 0                 | 0                 |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                                                                | 0                 | 0                 |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)                                                   | -816296           | -474446           |
| გადაფასების რეზერვი                                                                         | 0                 | 0                 |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები                                                        | 0                 | 0                 |
| სულ საკუთარი კაპიტალი                                                                       | 4745809           | 4327891           |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები                                                      | 4822636           | 4359362           |
| სულ მოკლევადიანი აქტივები                                                                   | 556               | 25404             |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები                                                              | 0                 | 0                 |


დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს ფიქრის გორა - ს სახელით 2024 წლის 30 სექტემბერი,

კომპანიის დირექტორის მინდობილი პირი: \_\_\_\_\_ /ზვიად ვეკუა (პ.ნ 62001003580)/



**საქმიანობის შედეგები**

|                                                                                                                                   | <b>31/12/2023</b> | <b>31/12/2022</b> |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| ნეტო ამონაგები                                                                                                                    | 384383            | 719807            |
| საქონლის გაყიდვიდან                                                                                                               | 0                 | 0                 |
| მომსახურების გაწევიდან                                                                                                            | 372764            | 716812            |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან                                                                                                      | 0                 | 0                 |
| სხვა                                                                                                                              | 11619             | 2995              |
| გაყიდვების თვითღირებულება                                                                                                         | -78761            | -75455            |
| საწყისი მარაგები                                                                                                                  | 0                 | 0                 |
| მარაგების შესყიდვა                                                                                                                | 0                 | 0                 |
| გადამუშავების დანახარჯები                                                                                                         | 0                 | 0                 |
| საბოლოო მარაგები                                                                                                                  | 0                 | 0                 |
| საერთო მოგება                                                                                                                     | 305622            | 644352            |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი                                                                                                        | 0                 | 0                 |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                                                                                          | -263440           | -134618           |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი                                                                                                        | -123902           | -157277           |
| საპროცენტო შემოსავალი                                                                                                             | 0                 | 0                 |
| საპროცენტო ხარჯი                                                                                                                  | 0                 | 0                 |
| იჯარის ხარჯი                                                                                                                      | 0                 | 0                 |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                                                                                          | -260129           | -260412           |
| სულ საოპერაციო ხარჯები                                                                                                            | -647471           | -552307           |
| საოპერაციო მოგება                                                                                                                 | -341849           | 92045             |
| <b>გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:</b>                                                                                            |                   |                   |
| ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                                                                                | 0                 | 0                 |
| სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                                                                        | 0                 | 0                 |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან                                    | 0                 | 0                 |
| მიღებული დივიდენდები                                                                                                              | 0                 | 0                 |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)                                                                                           | 0                 | 0                 |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან                                                          | -341849           | 92045             |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                                                                                         | 0                 | 0                 |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი                                                                                            | -341849           | 92045             |
| <b>სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):</b>                                                                                          |                   |                   |
| ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი                                                       | 0                 | 0                 |
| სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები) | 0                 | 0                 |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:                                                                                            | 0                 | 0                 |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)                                                                                               | -341849           | 92045             |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში                                                                               | 4327891           | 3951253           |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')               | 0                 | 0                 |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)                                                                                    | 0                 | 0                 |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                                                                                                         | 759767            | 284593            |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                                                                                    | 4745809           | 4327891           |

დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს ფიკრის გორა - ს სახელით 2024 წლის 30 სექტემბერი, კომპანიის დირექტორის მიხედობილი პირი:  / **ზვიად ვეკუა** (პ.ნ 62001003580)



## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ფიქრის გორა (შემდგომში „კომპანია“) არის 2012 წლის 16 ნოემბერი საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონში, შ.ღამბაშიძის ქ., N 5

კომპანიის ძირითადი ბიზნეს საქმიანობაა 55102 - სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები რესტორნების გარეშე და 41200 - საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰყავს ერთი მფლობელი. სოსო ქუშაშვილი (პ/ნ:01017007051) 100% წილის მმართველი.

## 2. მომზადების საფუძველი

### (ა) წარდგენის საფუძველები

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2024 წლის 28 სექტემბერს, როგორც კომპანიის მსს ფასს-თან ადაპტაციის პროცესის ნაწილი და შეესაბამება 35-ე განყოფილებას მსს ფასს-ზე გადასვლის პირველადი ადაპტაციის მოთხოვნებს. წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა პირვანდელი ღირებულების კონვენციის მიხედვით და საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კანონის გათვალისწინებით. კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღს წარმოადგენს 2018 წლის 1 იანვარი. წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს გადასვლის დღემდე არსებულ შესადარის ინფორმაციას.

### (ბ) აღრიცხვის საფუძველი

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის 2019 წლის 15 მაისის სარეკომენდაციო მითითების შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების საფუძველზე, რომელიც იქნება გამოყენებული 2023 წლის 31

დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მსს ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებების სრული ნაკრების მომზადებისას. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

(გ) (გაგრძელება):

კომპანიაში ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის მიზნით დანერგილია ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიები, რომელიც უზრუნველყოფს ოპერაციების სინთეზურ და ანალიზურ აღრიცხვას ბუღალტრული ანგარიშების მიხედვით.

(დ) სამუშაო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“, „GEL“), რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს.

### 3. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, ეროვნულ ვალუტას რეზიდენტ ბანკში და უცხოური ვალუტას რეზიდენტ ბანკში

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

|                                 | 2023  | 2022  |
|---------------------------------|-------|-------|
| ნაღდი ფული სალაროში             | 0     | 0     |
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 13139 | 30753 |
| უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში  | 0     | 48933 |
| სულ                             | 13139 | 79686 |

### 4. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შესაძლო გაუფასურების დანაკარგი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

|                    | 2023 | 2022  |
|--------------------|------|-------|
| სავაჭრო მოთხოვნები | 5149 | 19050 |
| სულ                | 5149 | 19050 |

5. გადახდილი ავანსები.

გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავლები მოიცავს ძირითადი მომწოდებლებისთვის გადახდილ ავანსებს და ასევე ბიუჯეტში გადახდილ ავანსებს.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

|                                                     | 2023   | 2022   |
|-----------------------------------------------------|--------|--------|
| გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი | 265173 | 228260 |
| სულ                                                 | 265173 | 228260 |

6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასა და აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სხვა დამატებით ხარჯებს.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

|                      | 2023   | 2022   |
|----------------------|--------|--------|
| ნედლეული და მასალები | 0      | 0      |
| მზა პროდუქცია        | 0      | 0      |
| სხვა მარაგი          | 175726 | 117282 |
| სულ                  | 175726 | 117282 |

## 7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა. კომპანიის სახელზე არსებული მიწა წარმოადგენს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას, რომელზეც დამაგრებული შენობა-ნაგებობები. დაუმთავრებელ მშენებლობას არ ერიცხება ცვეთა.

ჯგუფი

სასარგებლო მომსახურების ვადა

1. შენობების სასარგებლო მომსახურების ვადა 20 წელი
2. ნაგებობების სასარგებლო მომსახურების ვადა 20 წელი
3. მანქანა-დანადგარების სასარგებლო მომსახურების ვადა 10 წელი
4. ელექტრონული მოწყობილობების სასარგებლო მომსახურების ვადა 5 წელი
5. ავეჯი და სხვა ინვენტარის სასარგებლო მომსახურების ვადა 5 წელი
6. სატრანსპორტო საშუალებები 5 წელი
7. სხვა მცირეფასიანი ინვენტარი 5 წელი

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ბოლო წლიური საანგარიშგებო თარიღის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა ამა თუ იმ აქტივიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გამოყენების ხასიათი, საწარმომ უნდა გაანალიზოს ცვეთის არსებული მეთოდი და იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე პერიოდის მოლოდინები განსხვავებულია, საწარმომ უნდა შეცვალოს აქტივის ცვეთის მეთოდი, აქტივის მოხმარების ახალი სტრუქტურის ასახვის მიზნით. აღნიშნული ცვლილება აისახება, როგორც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილება.

თუ არსებობს გაუფასურების კომპონენტები, აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე დაუყოვნებლივ. თუ მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს.

ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება წყდება. საწარმომ ასეთი სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

## 8. სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

## 9. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული.

## 10. გადასახადები

### მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

## დღგ

საქმიანობის ფარგლებში მიწოდებული მომსახურება იბეგრება დამატებითი ღირებულების გადასახადით და ამ საქმიანობის ფარგლებში შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე ხორციელდება დღგ-ის ჩათვლა.

### 11. ფინანსური ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, კომპანია აფასებს ყველა ფინანსურ ვალდებულებას ამორტიზებული ღირებულებით. ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

### 12. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან, გაუნაწილებელი მოგებისგან, რომელშიც შედის მიმდინარე წლის მოგება ან ზარალი.

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს ნომინალურ კაპიტალს, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 5562105 ლარს.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- კაპიტალის ეფექტურად მართვა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს მფლობელთა მოთხოვნებს;
- მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და მფლობელებისთვის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

### 13. ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ კომპანიის მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

#### 14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

| დასახელება                                       | თანხა |
|--------------------------------------------------|-------|
| რეკლამის ხარჯები                                 | 906   |
| სოციალური დანარიცხები                            | 4150  |
| კომუნიკაციის ხარჯები                             | 379   |
| დაზღვევა                                         | 50    |
| რემონტი                                          | 1171  |
| ქონების გადასახადი                               | 37240 |
| საწვავის ხარჯი ფორდ ტრანზიტზე                    | 1197  |
| ბანკის საკომისიო                                 | 7588  |
| სარეკლამო ხარჯი                                  | 55661 |
| დაცვის ხარჯი                                     | 2034  |
| სატრანსპორტო მომსახურება                         | 1843  |
| გენერატორზე გაწეული ხარჯი                        | 1203  |
| პროგრამული უზრუნველყოფა                          | 6255  |
| ლიფტის მომსახურება                               | 3695  |
| თეთრეულის რეცხვა                                 | 21697 |
| ელენერგია                                        | 43893 |
| წყალი                                            | 10604 |
| გაზი                                             | 25644 |
| რემონტის ხარჯი                                   | 75    |
| გიდის მომსახურება                                | 3122  |
| დასუფთავების ხარჯი                               | 2880  |
| სხვა სამეურნეო ხარჯი                             | 2489  |
| სხვა საერთო ხარჯი                                | 9126  |
| სხვა სამეურნეო ხარჯი                             | 3946  |
| სამეურნეო ხარჯი                                  | 485   |
| სანათი მოწყობილობები, ნათურები, ელექტრო ხარჯი... | 392   |
| ინტერნეტის ხარჯი                                 | 6420  |
| საკანცელარიო ხარჯი                               | 280   |
| არასაოპერაციო ზარალი                             | 5186  |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯები                       | 478   |

15. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის, კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

|                                    | 2023   | 2022   |
|------------------------------------|--------|--------|
| საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება | 500    | 2654   |
| საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი | (2927) | (1460) |
| სულ                                | (2427) | 1194   |

16. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი


მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ

მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

აღნიშნული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური  
ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ანგარიშგება შედგება 12 გვერდისაგან.

კომპანიის დირექტორის მინდობილი პირი: \_\_\_\_\_



/ზვიად ვეკუა (პ.ნ 62001003580)/

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი



15097032606623

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ  
მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

**N231090389**



რეგისტრაციის თარიღი

**11.08.2023 წ**

ნოტარიუსი: ეკატერინე მარშანია

მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 47

ტელეფონი: 5(74) 44 45 49; ელ.ფოსტა: emarshania@notary.ge

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადმოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: [www.notary.ge](http://www.notary.ge)  
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

## სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდასამი წლის თერთმეტ აგვისტოს მე, ნოტარიუს ეკატერინე მარშანიას შემცვლელ პირს ელისო მურდულიას საქართველოში, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 47 - მომმართა სოსო ქუშაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ არის შპს „ფიქრის გორა“-ს (ს/კ 404431995) დირექტორი, თანახმად ამონაწერისა სამეწარმეო რეესტრიდან: განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: **B18088628, 21/08/2018 10:22:14**. მან მოითხოვა რწმუნებულების შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს ზვიადი ვეკუას (დაბადებული 18.05.1969წ. სოხუმში, პირადი N 62001003580, მისამართზე: სოხუმი ბადის ქ. N 4). მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად სოსო ქუშაშვილმა (დაბ. 20.12.1958წ. ყაზბეგში, პირადი #01017007051, პ/მ 19IA34195, მისამართი: თბილისი შ.დამბაშიძის ქ. N 5) მომმართა. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა. მე შევადგინე ტექსტი, რომელიც წაიკითხა მან და დაადასტურა, რომ რწმუნებულება სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე რწმუნებულებას. გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.11.2012 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე - 30 (ოცდაათი) ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე - 5 (ხუთი) ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. -5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი, ჯამში: 40.40 ლარი.

### რეგისტრაცია/მინდობილობა

შპს „ფიქრის გორა“-ს (ს/კ 404431995) დირექტორმა სოსო ქუშაშვილმა წინამდებარე მინდობილობით ზვიადი ვეკუას მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. ზვიადი ვეკუა უფლებამოსილია იყოს შპს „ფიქრის გორა“-ს დირექტორის სოსო ქუშაშვილის წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაცია-დაწესებულებაში, მათ შორის იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრში, შემოსავლების სამსახურში, საგადასახადო ინსპექციაში, საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურებში, ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან. საზოგადოების სახელით აწარმოოს მოლაპარაკებები მესამე პირებთან, დადოს ხელშეკრულებები/შეთანხმებები, შეიტანოს მათში ცვლილებები/გააუქმოს ისინი, აგრეთვე ხელი მოაწეროს მათ და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც საჭიროა მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისთვის. იგი აგრეთვე უფლებამოსილია ხელი მოაწეროს თანამშრომელთა დანიშვნის და/ან გათავისუფლების შესახებ ბრძანებებს, შრომით ხელშეკრულებებს, ასევე ნებისმიერ ხელშეკრულებას და/ან კონტრაქტს, წარადგინოს და მიიღოს ნებისმიერი ცნობა, დოკუმენტი, ინფორმაცია. სერტიფიკატები, მიღება-ჩაბარების აქტები. წარმოადგინოს საზოგადოების ინტერესები შემოსავლების სამსახურში, საგადასახადო ინსპექციაში, საბაჟო ორგანოებში, გეზში, განაბჟოს საზოგადოების სახელზე შემოსული ნებისმიერი ტვირთი, გადაიხადოს ყველა საჭირო გადასახადი, ხელი მოაწეროს საჭირო ყველა დოკუმენტს და შეუზღუდავად შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც საზოგადოების დირექტორს წესდებით აქვს მინიჭებული.

2. მინდობილობა გაცემულია სამი წლის ვადით, გადანდობის უფლების გარეშე.

3. მინდობილობა გაცემულია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად ქართულ ენაზე, ერთი ინახება სანოტარო ბიუროში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა „მინდობილ პირს“. იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროში თან ერთვის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

*ზვიადი ვეკუა*

ნოტარიუსის შემცვლელი პირი ელისო მურდულია

*ელისო მურდულია*

